

---

ბიულეტენი N3

2015წ.  
ახალციხე

---

# მომავლის თაობა



---

[www.civics.ge](http://www.civics.ge)   [www.Initiatives.ge](http://www.Initiatives.ge)   [www.civicsnet.ge](http://www.civicsnet.ge)

facebook/ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი   [www.akhaltsikheyouthcenter.wordpress.com](http://www.akhaltsikheyouthcenter.wordpress.com)

---

პუბლიკაცია მომზადებული და გამოცემულია ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკული ორგანიზაცია PH International-ის მიერ და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ ინფორმაციას და არ ასახავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის მოსაზრებებსა და პოზიციებს.

## „კატასტროფების შემცირების საერთაშორისო დღე“

13 ოქტომბერს, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში, პროგრამა „მომავლის თაობა“ ფარგლებში სასკოლო სამოქალაქო კლუბების მონაწილეობით, „კატასტროფების შემცირების საერთაშორისო დღე“-სთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება. ღონისძიებაზე სამცხე-ჯავახეთის



მასშტაბით, პარტნიორი საჯარო სკოლების, ახალციხის მუნიციპალიტეტის : (სოფელ გურკელის, ფერსის, სვირის, ზიკილიისა და მუსხის), ასპინძის მუნიციპალიტეტის (სოფელ ზველის) და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის (სოფელ ვარევანის, ოკამისა და ხულგუმოს) საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებმა ისაუბრეს საკუთარ თემში არსებულ კატასტროფების კერებზე და წარმოადგინეს პრობლემის მოგვარების თავიანთი ხედვები. ღონისძიება ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის

კოორდინატორმა მზია ინასარიძემ გახსნა, რომელმაც მონაწილეებს და მოწვეულ სტუმრებს კიდევ ერთხელ შეახსენა კატასტროფების რისკების შესახებ. ღონისძიება მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. მოწვეულმა სპეციალისტებმა ისაუბრეს აღნიშნული თემის ირგვლივ. „საინტერესოა ახალგაზრდების ხედვა კატასტროფების რისკების მიმართ. პრევენციულ საკითხებზე სახელმწიფომ მოქნილი სტრატეგია უნდა შეიმუშაოს. ქვემო ქართლსა და აჭარაში კატასტროფების შემცირების ჯგუფებია ჩამოყალიბებული და ახლო მომავალში სამცხე-ჯავახეთშიც ჩამოყალიბდება.“ - აღნიშნა კატასტროფების რისკების შემცირების კოორდინატორმა ნინო რუხაძემ, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაცია მერსი ქორთუსს. „დღეს ახალგაზრდებმა ნათლად წარმოაჩინეს საკითხი, რაზეც თითოეული ჩვენთაგანი უნდა დაფიქრდეს ახალგაზრდული ხედვები მნიშვნელოვანია.“ - აღნიშნა საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის



ცენტრის დირექტორმა ნუგზარ თათეშვილმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის (ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ილია ზარდიაშვილი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე გურამ მელიქიძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის სპეციალისტი, მაია სხირტლაძე, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი რევაზ ანდლულაძე) და არსამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები (კატასტროფების რისკების შემცირების ცენტრი მერსი ქორთუსი, საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრი ნუგზარ თათეშვილი), სამცხე-ჯავახეთის სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის რეგიონალური კოორდინატორი ნინო ნადირაძე, ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის



წარმომადგენლები და ადგილობრივი მასმედია.

## სამოქალაქო განათლების პედაგოგებს სერთიფიკატები საზეიმოდ გადაეცათ

ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრებთან თანამშრომლობით, აღნიშნულ ცენტრებში, სამოქალაქო განათლების პროგრამის "მომავლის თაობა" მონაწილე სკოლების



პედაგოგებს ა(ა)იპ "კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრში" გავლილი ტრენინგების ციკლის წარმატების დასრულებისათვის სერთიფიკატები გადაეცათ. სამცხე-ჯავახეთში სულ გადამზადდა 42 სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი. მონაწილეებს ახალციხის ახალგაზრდული ცენტრისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის სამცხე-ჯავახეთის



რეგიონალურმა წარმომადგენლებმა კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მიერ პედაგოგთა ელექტრონულ გამოკითხვის კითხვარი შეავსებინეს, რომელიც სამოქალაქო განათლების პროგრამის "მომავლის თაობა" ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების შედეგებთან დაკავშირებით ინფორმაციას მოიცავდა.

## ხულგუმოს სოფლისა და ახალქალაქის შორის არსებული ხეობის საავტომობილო გზის ორივე მხრის ნაგავისაგან დასუფთავება



5 ოქტომბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი ხულგუმოს საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბმა "გენიოსები" სოფელი ხულგუმოსა და ახალქალაქის შორის არსებული ხეობის საავტომობილო გზის ორივე მხარე ნაგავისაგან დაასუფთავეს. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა სოფლის ტერიტორიისა და ცენტრალური გზის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გასუფთავებას. სადაც ადგილობრივი მოსახლეობა და სოფელ ხულგუმოს საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრები მონაწილეობდნენ.

"სამოქალაქო კლუბის წევრებმა ჩვენი სკოლის ეზოში ველურად ამოსული ბალახები მოვასუფთავეთ, შემდეგ კი გადავინაცვლეთ ახალქალაქის ცენტრალურ გზაზე და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გავასუფთავეთ სავალი გზის ნაპირები. ნარჩენების გატანა კი უზრუნველყო ახალქალაქის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურმა. "- ამბობს ხულგუმოს საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბი "გენიოსები" ლიდერი ანუკა ჩიჭიანი.

## ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები



პროგრამა „მომავლის თაობა“ ფარგლებში, მცირე გრანტების მიმართულებით, ოქტომბრიდან-დეკემბრამდე, სამცხე-ჯავახეთის პარტნიორ საჯარო სკოლებში, მიმდინარეობდა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები მოსწაღეებსა და მასწავლებლებთან .

პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მათ გააცნეს ამომწურავი ინფორმაცია მცირე გრანტის კონკურსის შესახებ და ის ფორმები , რაც უნდა ახლდეს საგრანტო განაცხადს სრულყოფისათვის.


## ნადრევი ქორწინება და მასთან დაკავშირებული პრობლემები

„ნადრევი ქორწინება და მასთან დაკავშირებული პრობლემები“ – აღნიშნულ საკითხებზე 28 ოქტომბერს ახალციხის ახალგაზრდულ ცენტრში, ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებიდან სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“ პარტნიორი საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებმა იმსჯელეს. „ჩვენ თანატოლებში ხშირად ვსაუბრობთ დამალულ თემებზე, თუმცა როდესაც კომპეტენტური პირები გვესაუბრებიან ქორწინებაზე და მასთან დაკავშირებული პრობლემებზე, ეს ძალზედ მნიშვნელოვანია. საინტერესო იყო აღნიშნულ თემაზე მომზადებული ფილმი, რომელიც შეხვედრაზე გვაჩვენეს...“-ამბობს ზიკილიის სამოქალაქო კლუბის „პატრიოტები“-ს წევრი თამარ ადვაძე. „აღნიშნული თემა სწორედ, რომ დროული აღმოჩნდა მონაწილეებისათვის "ნადრევი ქორწინება", რომელიც NDI-ს მიერ დაფინანსებული პროექტის "ერთად გენდერული თანასწორობისთვის" ფარგლებში ჩატარდა. მონაწილეები ძირითადად სოფლებიდან იყვნენ, სადაც ინფორმაციის ვაკუუმი და უფრო მეტად ხდება ადრეულ ასაკში დაქორწინება ამიტომაც ვფიქრობ საჭირო იყო მათთვის ამ ინფორმაციის მიწოდება.“- ამბობს პროექტის სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრის წარმომადგენელი თამუნა კაპანაძე. 9 ნოემბერს ასპინძის რაიონის სოფელ ზველის საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლების კლუბმა „დემოკრატიის კვაკდაკვალ“ ამ თემასთან დაკავშირებით ჩაატარა ღონისძიება. მოსწავლეებმა განიხილეს ფილმი ნადრევი ქორწინებაზე. „მოსწავლეებმა იმსჯელეს სამცხე-ჯავახეთში ნადრევი ქორწინების მაღალი მაჩვენებლის გამომწვევ მიზეზებზე. აღნიშნეს, რომ ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფში არსებული ტრადიციაა.“ -ამბობს კლუბის




ლიდერი ვასო დიასამიძემ. ანა ზედგინიძემ კი, რომელიც უძღვებოდა ღონისძიებას წარმოადგინა თავისი მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე და აღნიშნა: „ეს ღონისძიება იმიტომ ჩავატარეთ, რომ სოფელ ზველში ახალგაზრდობის 40% ნადრევად ქორწინდება და ხშირად ოჯახებს ვერ ინარჩუნებენ“.

## ადრეული ქორწინება დანაშაულია



25 ნოემბერს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დღესთან დაკავშირებით, მუსხის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბ "ერთობას" წევრებმა მოაწყვეს შეხვედრა და იმსჯელეს პრევენციის გზებზე. ღონისძიების იდეის ავტორს, სამოქალაქო კლუბის ლიდერს, ქრისტინე ინასარიძეს მიაჩნია, რომ ამ პრობლემის გასამკლავებლად საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება, უფრო ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა, თანატოლებს გაეაზრებინათ თუ რა საფრთხეებთან იყო დაკავშირებული ადრეული ქორწინება. ასევე, გაეანალიზებინათ სხვადასხვა ქვეყნების მდგომარეობა ამ კუთხით.

## სამცხე-ჯავახეთის პარტნიორი საჯარო სკოლის პედაგოგებისათვის მრგვალი მაგიდა მოენყო



1 ნოემბერს ქ. ახალციხეში, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ფარგლებში მრგვალი მაგიდა ჩატარდა, სადაც სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ მონაწილე სამცხე-ჯავახეთის საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების 20 პედაგოგი მონაწილეობდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ არაქრთული (სომხურენოვანი) საჯარო სკოლების პედაგოგები, ამიტომ მრგვალი მაგიდა ორ ენაზე წარიმართა, რომელსაც უძღვებოდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ პარტნიორი ორგანიზაციის ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის მიერ მოწვეული თარჯიმანი, თინათინ აკოფიანი. მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა-პრეზენტაცია პრეზენტაცია წარადგინა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ას. პროფესორმა, ევროპული სკოლის მათემატიკის კათედრის გამგემ, წამყვანმა მასწავლებელმა პეტრე ბაბილუამ. მან დამსწრე პედაგოგებს გააცნო სქემის მიზანი, სქემის რეგულირების სფეროები, მასწავლებლის სქემაში გადანაწილება, ასევე მოქმედი მასწავლებლების მიერ სქემით განსაზღვრული სტატუსების მიღწევის გზები. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში და განიხილეს კონკრეტული სიტუაციები. „პედაგოგებმა მიიღეს ინფორმაცია ახალი სქემის შესახებ, თუ რამდენი კრედიტ ქულა უნდა დააგროვონ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად, პრაქტიკოსი მასწავლებლიდან უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღებად, შესანარჩუნებლად და წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად. ასევე მიიღეს ინფორმაცია სახელფასო პოლიტიკის შესახებ და თვითმეფასების კითხვარის შევსებისას განსაზღვრეს ფასილიტატორის და შეფასების ჯგუფის უფლება-მოვალეობები. „მრგვალ მაგიდაზე წარმოდგენილი იყო მასწავლებლის დამატებით საქმიანობების ჩამონათვალი, რომლის შესრულება მოუწევთ მათ კრედიტქულების დასაგროვებლად“ - ამბობს სამცხე-ჯავახეთის პედაგოგთა ფორუმის კოორდინატორი ნინო ნადირაძე.

მრგვალი მაგიდა სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის წელიწადში ერთხელ პარალელურად საქართველოს მასშტაბით ყველა რეგიონში ეწყობა, სადაც სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ პარტნიორი საჯარო სკოლების პედაგოგებს საშუალება ეძლევა მათი კარიერული წინსვლისათვის საჭირო და მიზანმიმართული ინფორმაციები მიიღონ.

## ვიზიტი მდინარე ფარავნის ჰესზე



17 ნოემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ხულგუმოს საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბი "გენიოსები" ახალქალაქის ტერიტორიაზე არსებულ მდინარე ფარავნის ჰესს ესტუმრნენ. აღნიშნული ვიზიტი მიზნად ისახავდა ჰესის მუშაობის და არსებული წყლის რესურსების სწორად გამოყენების წესების გაცნობას. „მდინარე ფარავნის მარჯვენა მხარეზე იგება ჰესი სახელად "ენერგო". იგი მოქმედებდა 1990–დან 2012 წლამდე, ახლა კი ის უნდა განაახლდეს და აღჭურვოს თანამედროვე ტექნოლოგიებით. ქვეყანას 90 გგვატ ენერჯიას მისცემს.“ - ამბობს ვიზიტის მასპინძელი ჰესზე მომუშავე კონტროლიორი ტრისტან ივანიძე.

## თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგი სოციალურ მედიაში



პროგრამა „მომავლის თობა“ ფარგლებში სოფელ ფერსისა და სოფელ მუსხის საჯარო სკოლაში ჩატარდა თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგი სოციალურ მედიაში, ტრენინგს უძღვებოდნენ ფერსაში: მაგდა გოგალაძე და თიკო გელაშვილი. ხოლო მუსხში: დიანა ინასარიძე, ლილი ოქრომელიძე და ქრისტინე ინასარიძე. ტრენინგს ესწრებოდნენ ამავე საჯარო სკოლების მეცხრე და მეთექვსმეტე კლასის მოსწავლეები, რომლებმაც შექმნეს ბლოგები ნომინაციებით: მოქალაქე



ჟურნალისტი, ბუნების დამცველი, ახალგაზრდა ომბუდსმენი, ახალგაზრდა მოხალისე, ჯანსაღი ცხოვერების ადვოკატი, ახალგაზრდა განმანათლებელი. ტრენინგზე ისწავლეს სოციალური მედიის არხების გამოყენება, პოპულარიზაცია გაენია სამოქალაქო განათლების პორტალებს civics.ge-ს და initiatives.ge-ს. სოციალური მედიის მიზანია მოსწავლეებმა ბლოგის საშუალებით შემოიკრიბონ თანამოაზრეები და დაგეგმონ საინტერესო აქციები.

---

## ინტერვიუ აგარის თემის რწმუნებულთან ელგუჯა ჯვარიძესთან



ზიკილიის საჯარო სკოლის კლუბის წევრებმა თამარ ადვაძემ და მარიამ ღვალაძემ პროგრამის „მომავლის თობა“ ფარგლებში თემის პრობლემების გაცნობის მიზნით ინტერვიუ ჩაწერეს აგარის თემის რწმუნებულთან ელგუჯა ჯვარიძესთან. თემში არსებული პრობლემების კარგად შესწავლის მიზნით თამარმა და მარიამმა თავდაპირველად გამოიკითხეს თავიანთი სოფლის მოსახლეობა. ამიტომ ინტერვიუ შეეხებოდა თემის იმ

პრობლემებს, რომელიც მოსახლეობას და ახალგაზრდებს აწუხებდათ. ესენია: სარწყავი არხების უქონლობა, ნაგვის ბუნკერების არარსებობა, მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურა. გამგებელმა ისაუბრა იმაზე თუ როგორ უნდა იზრუნოს ახალგაზრდამ პრობლემის მოგვარებაზე.

ინტერვიუს დასასრულს სამოქალაქო კლუბის მოსწავლეებმა და ბატონმა ელგუჯამ ერთად დასახეს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, დაგეგმეს საინტერესო პროექტები და შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობაზე.

## „ენერგოეფექტიანობა და მე“



ქალაქ ახალციხეში „ენერგოეფექტიანობის საერთაშორისო დღე“ აღნიშნეს. სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ პარტნიორი საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებმა „ენერგოეფექტიანობის საერთაშორისო დღის“ ფარგლებში, სხვადასხვა ღონისძიებები გამართეს, რაშიც მონაწილეობა მიიღეს რეგიონის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა (სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სამხარეო ადმინისტრაცია, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ახალციხის მერია, ზრდასრულთა განათლების ასოციაცია, სამოქალაქო ინიციატივების ასოციაცია, ახალციხის

სამხატვრო სკოლა.) პირველ ეტაპზე მოსწავლეებმა ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში გამოკითხვა ჩაატარეს, თუ რა იყიან ენერგოეფექტურობის შესახებ, რადენად იყენებენ ბუნებრივ რესურსებს. სამუხაროდ გამოკითხულთა უმრავლესობამ არ იყოფოდა როგორ მოიხმარათ ენერგია ეკონომიურად და ეფექტურად. გამოკითხვის საფუძველზე, სამოქალაქო კლუბის წევრებმა ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის ხელშეწყობით დაგეგმეს ღონისძიება სახელწოდებით „ენერგოეფექტიანობა და მე“. ამ დღესთან დაკავშირებით 11 ნოემბერს ქ. ახალციხის ცენტრალურ პარკში მოეწყო მსვლელობა ტრანსფორმაციებით, მოსახლეობაში დარიგდა საინფორმაციო ბუკლეტები, ახალციხის



მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში მოეწყო თემატური ნახატების გამოფენა. მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ფერადი სტიკერებით თავად აერჩიათ საუკეთესო ნახატის ავტორი (სოფელი სვირის საჯარო სკოლა- გიორგი ლაცაბიძე, ნუგზარ მანჩხაშვილი, ზურა სამსონიძე; ზიკილიის საჯარო სკოლა ლაშა გოგოლაური), რომლებიც ღონისძიების დასასრულს, პარტნიორმა ორგანიზაციამ

(ახალციხის ახალგაზრდული ცენტრმა) წიგნებით დააჯილდოვა. ნახატებში ასახული იყო ნაკლები რაოდენობის ენერგიის მოხმარებით და გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებით სუფთა გარემოს შენარჩუნება.



პარალელურად, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხულგუმოს საჯარო სკოლის და სოფელ იხტილას საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა თავიანთ სკოლებში თავლსაჩინოების სახით კედელზე გააკრეს ბანერი სადაც დატანილი იყო ინფორმაცია ენერგოეფექტიანობის შესახებ. ღონისძიება გაუქდა ადგილობრივი ტელევიზიითა და პრესით.

## „დროა ვიცოდეთ და ვუზრუნველყოთ უსაფრთხო გზები!“



ახალციხის ახალგაზრდულმა ცენტრმა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების მსხვერპლთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს უფროსს ბატონ გიორგი ნასყიდაშვილს მიმართა წერილობით რათა სკოლის მოსწავლეებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამმართველოდან წარმომადგენელი შეხვედროდა, რომელიც გააყენებდა მოსწავლეებს ინფორმაციას საგზაო

უსაფრთხოების შესახებ. დაიგეგმა საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი და საორგანიზაციო სამმართველოს სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ჯგუფის ინსპექტორი, პოლიციის მაიორი - გურამ გიკაშვილი. ღონისძიებას ესწრებოდნენ ასპინძის და ახალციხის მუნიციპალიტეტების სამოქალაქო

კლუბის წევრები. მოსწავლეები უსაფრთხო და მოხერხებული გადაადგილებისთვის, მარტივ წესებს გაეცნენ: ნუ იქნები იმის იმედად, რომ მოახლოებული მანქანის მძღოლი შეგამჩნევს და დაამუხრუჭებს, დაელოდე მანქანის გააჩერებას, მხოლოდ შემდგომ გადაჭერი ქუჩა, სალამოს საათებში, ხილვადობის გასაუმჯობესებლად ჩაიცვი ნათელი შეფერილობის ტანსაცმელი, ისარგებლე ფეხით მოსიარულეთათვის



განკუთვნილი მინისტრებმა თუ მინისტრებმა გადასასვლელით და ა.შ. „იმის გამო, რომ მართვის მოწმობის აღება ავტოსკოლის გავლის შემდეგ, 17 წლის ასაკიდან არის შესაძლებელი და ხშირად საგზაო სატრანსპორტო დარღვევები ფიქსირდება სკოლის დამთავრების პერიოდში განსაკუთრებით „ბოლო ზარზე“ და სიჩქარის გადაჭარბების გამო იზრდება მსხვერპლთა რიცხვი, ამიტომ მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს იმ შედეგების შესახებ, რაც ავტოსაგზაო წესების უგულველყოფას მოყვება. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად ავტოსაგზაო შემთხვევების გამო 1,3 მილიონი ადამიანი იღუპება და 50 მილიონამდე იღებს ტრავმას, ხოლო 10-24 წლის ახალგაზრდათა სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი ავტოსაგზაო შემთხვევებია.“ - აღნიშნა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს, საორგანიზაციო სამმართველოს სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ჯგუფის ინსპექტორმა, პოლიციის მაიორმა გურამ გიკაშვილმა. „არა მარტო მძღოლები, არამედ ფეხით მოსიარულეებისათვის, მსგავსი საინფორმაციო შეხვედრები მნიშვნელოვანია, კარგია რომ დღეს გავეცანით უსაფრთხოების წესებს, საინფორმაციო შეხვედრები დროთა განმავლობაში ეტაპობრივად შეიცვლის ახალგაზრდების ქცევას და ჩვენ ერთად შევცვლით საზოგადოებას.“ - ამბობს გურკელის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის „იმედი“-ს წევრი ლუკა გელაშვილი.

საპატრულო პოლიციასთან შეხვედრისას სამოქალაქო კლუბის წევრები სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.



## დავიცვათ ჩვენი გარემო



4 ნოემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ხულგუმოს საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის „გენიოსები“ წევრებმა ჩაატარეს ღონისძიება სახელწოდებით „დავიცვათ ჩვენი გარემო“. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ითანამშრომლეს სკოლის ადმინისტრაციასთან, მშობლებთან, რომლის შედეგადაც დასუფთავდა სკოლის მიმდებარე ტერიტორია და დაირგო ნერგები. „ვინაიდან ჩვენი სკოლის ეზოში ხეები საერთოდ არ იყო, კლუბის წევრებმა მშობლების დახმარებით მოვიპოვეთ სხვადასხვა ხის ნერგები, პირველ ეტაპზე სკოლის სხვა მოსწავლეების დახმარებით

მოვასუფთავეთ სკოლის მიმდებარე ტერიტორია და სასკოლო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით განვსაზღვრეთ ადგილი ხეებისთვის. გვინახია, რომ ერთობლივი ძალებით შევძელით ჩვენი სკოლის ეზოს გამწვანება. „ - აღნიშნა კლუბის წევრმა ანა ჩიფჩიანმა. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავდა სასკოლო გარემოს გალამაზებასა და საერთო ეკოლოგიური პრობლემების მოგავრებას.

## მოხალისეობის საერთაშორისო დღე ახალციხეში საინფორმაციო შეხვედრა

5 დეკემბერს მოხალისეობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ახალციხის მუნიციპალიტეტის



საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებისათვის საინფორმაციო შეხვედრა მოენწო. აღნიშნულ შეხვედრას საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პროექტის მონაწილე და მოხალისეობის კოორდინატორი ახალციხიდან ალექსანდრე ბერიძე უძღვებოდა. „ძალიან საინტერესო აუდიტორია მყავდა, მათთან ერთად განვიხილეთ მოხალისეობის არსი, ფორმალური და არაფორმალური მოხალისეობა, მოხალისეობის უპირატესობები, მოხალისეთა უფლებები

და პასუხისმგებლობები, მოხალისეობის მოტივაციის დონეები, როგორ იგეგმება და ხორციელდება მოხალისეობრივი პროექტები, ასევე, გავაცანი საქართველოში არსებული საერთაშორისო მოხალისეობრივი პროგრამები.“- აღნიშნა ალექსანდრე ბერიძემ. შეხვედრა მიზნად ისახავდა მოხალისეობის განვითარებას საქართველოში და მოხალისეთა კლუბების ჩამოყალიბებას რეგიონში. „მე პირველად ვიყავი ტრენინგზე და გავიგე, რომ მოხალისეობა არის თავისუფალი ნებით შესრულებული საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, რომლის განხორციელების უპირველეს მიზანს არ წარმოადგენს ფულადი ანაზღაურების მიღებას. საინფორმაციო შეხვედრაზე მოხალისეობის სხვადასხვა მაგალითები განიხილეს, რომლის შემდეგაც სამოქალაქო კლუბის წევრებს მიეცათ დავალებები თემში მოხალისეობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად.

## შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე



ახალქალაქის სოფელ ხულგუმოს საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბი „გენიოსები“ შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს შეურთდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ანა პეტროსიანმა საჯარო ლექცია ჩაატარა და ისაუბრა აივ ინფექციასა და მასთან დაკავშირებულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებზე. დამსწრე აუდიტორიამ იხილა ვიდეო რგოლი, რომელშიც ასახული იყო ადგილობრივთა ინფორმირებულობა აივ ინფექციასთან დაკავშირებით და ასევე, ამ ვირუსით დაინფიცირებულ ადამიანთა მიმართ სოლიდარობის

გამომხატველი ლოზუნგები. მოსწავლეებმა მოამზადეს და გამოთინეს თემატური ნახატები, ასევე ნითელი გულსაკიდებით გამოხატეს თანადგომა. „მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ატარებს ნითელი ლენტს, როგორც აივ ინფექცია/შიდსის საკითხის გაზიარების სიმბოლოს. ჩვენც შევეერთდით აქციას და გავიკეთეთ ლენტები. ღონისძიების დასასრულს კი სკოლის ეზოში დაფხატეთ შიდსით დაავადებულთა სოლიდარობის სიმბოლო.“ - აღნიშნავს ლექციის მონაწილე ოფელია პეტროსიანი. შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღის არსებობა წარმოადგენს მცდელობას გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერება ამ საკითხთან დაკავშირებით. ღონისძიებისთვის ახალგაზრდებმა მოიძიეს ინფორმაცია შიდსთან დაკავშირებით და გაეცნენ მისი გადადებისა და თავიდან აცილების გზებს. მიღებული ინფორმაციით კი მოამზადეს პოსტერები, რომელიც თანატოლებსა და უფროსებს გაუზიარეს.



### სიკეთე გადამდებია!



10 დეკემბერს ხულგუმოს საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბი „გენიოსები“-ს წევრებმა სოფელში მცხოვრები მოხუცი და ობოლი ბავშვებისათვის შეაგროვეს სიმბოლური საჩუქრები და ადამიანის უფლებების დაცვის დღეს გადასცეს.

„პირველ ეტაპზე მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია სოფელში მცხოვრები ობოლი ბავშვებისა და მოხუცების შესახებ, რომლებსაც წინასწარი გაფრთხილების გარეშე



მიუტენეს საჩუქრები. ეს ერთგვარი მესიჯი იყო კლუბის წევრებისგან რომ სიკეთე გადამდებია.“ - ამბობს სამოქალაქო განათლების პედაგოგი ანა პეტროსიანი. „ჩვენ გადანყვიტეთ ადამიანის უფლებების დაცვის დღეს ქველმოქმედები ვყოფილიყავით. აღნიშნულ ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთო სკოლის ადმინისტრაცია და სკოლის სხვადასხვა კლასის მოსწავლეები“-აღნიშნავს სამოქალაქო კლუბი „გენიოსები“-ს ლიდერი ტირუჭი პეტროსიანი.

ბიულეტენი შექმნილია სამოქალაქო განათლება „მომავლის თაობა“ ფარგლებში

ქ. ახალციხე, ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი, კოსტავას ქ. 79. ტელ: 0 (365) 22 08 77

Email: [icyakhalttsikhe@yahoo.com](mailto:icyakhalttsikhe@yahoo.com) ბლოგი: [Akhalttsikheyouthcenter.wordpress.com](http://Akhalttsikheyouthcenter.wordpress.com)